ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N59

2024 წელი; 9 აგვისტო; 15:00 სთ; ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
ნინო რუხაძე
ავთანდილ ცინცაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
აკაკი ალადაშვილი
დავით ფარცვანია

სხდომის თავმჯდომარე:
ნინო ვარდოსანიძე
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების თაობაზე საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების თაობაზე საკითხი.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, 2024 წლის 16 ივლისს წარმოდგენილი წერილის შესახებ (N02-032419810-03), რომლის მიხედვითაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეცნობა შემდეგი საკითხი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული წევრის არჩილ გორდულაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მ/წლის 12 ივლისის N03-0324194308 წერილის (ცესკოში რეგისტრაციის N1079) საფუძველზე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განახორციელა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 164-ე მუხლითა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის N15/2012 დადგენილებით გათვალისწინებული პროცედურები, რომელთა შესაბამისადაც, წარმოდგენილ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2024 წლის 15 ივლისის N19/2024 განკარგულება, თანდართული დოკუმენტაციით.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2024 წლის 15 ივლისის N19/2024 განკარგულების პირველი მუხლის თანახმად, ცნობილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" პარტიული სიით არჩეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის არჩილ გორდულაძის (პარტიულ სიაში N20) ადგილმონაცვლედ ამავე საარჩევნო სუბიექტის საკრებულოს წევრობის კანდიდატი თამარ ჩახვაშვილი (პარტიულ სიაში N23).

ნინო ვარდოსანიძემ აქვე დასძინა, რომ საქმის მასალებს შორის ასევე წარმოდგენილია თამარ ჩახვაშვილის განცხადება, რომლითაც აღნიშნულმა პირმა თანხმობა განაცხადა, გახდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" პარტიული სიით.

ზემოხსენებული ღონისძიებების გათვალისწინებით, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მ/წლის 29 ივლისიდან, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2024 წლის 15 ივლისის N19/2024 განკარგულების საფუძველზე, დაიწყო თამარ ჩახვაშვილის, როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს ასევე მიაწოდა ინფორმაცია, რომ მ/წლის 29 ივლისს და 9 აგვისტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარის ოთარ გრიგოლიას მიერ, წარედგინა წერილობითი კორესპონდენცია (N03-032421141 და N03-032421135) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" სხდომის ოქმები N58 (29.07.2024) და N59 (09.08.2024), რომელთა თანახმადაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას, ეცნობა შემდეგი გადაწყვეტილებების შესახებ:

- ფრაქციის „ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" წევრებმა იმსჯელეს ფრაქციის სხდომების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით და ერთხმად დაუჭირეს მხარი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - თამარ ჩახვაშვილის გაწევრებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო";

2. თამარ ჩახვაშვილის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევას;

3. თამარ ჩახვაშვილის გაწევრებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში;

4. თამარ ჩახვაშვილის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში გაწევრებას;

5. ანა კილაძის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობიდან გაწვევასა და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში გაწევრებას;

6. ავთანდილ ცინცაძის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიიდან გაწვევასა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში გაწევრებას;

7. ზურაბ აბაშიძის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემადგენლობიდან გაწვევას.

კომისიის თავმჯდომარემ აქვე დასძინა, რომ მ/წლის 29 ივლისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას ასევე წარედგინა თამარ ჩახვაშვილის პირადი განცხადება (N03-032421135), რომლის თანახმადაც, საკრებულოს აღნიშნულმა წევრმა გამოხატა სურვილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციასა - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" და ზემოაღნიშნულ კომისიებში გაწევრების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა წარმომადგენლობისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში.

ნინო ვარდოსანიძემ ასევე ყურადღება გაამახვილა ამავე მუხლის მე-2² პუნქტის დანაწესზე, რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიაში წევრის წარდგენის შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის გადაწყვეტილება ეცნობება მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისიას (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს. იურიდიულ საკითხთა კომისია ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კომისია (მუნიციპალიტეტის საკრებულო) ამოწმებს ფრაქციის მიერ კომისიაში წევრის წარდგენის სისწორეს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს სათანადო რეაგირებას. ფრაქციის მიერ კომისიაში წარდგენილი წევრი კომისიაში დანიშნულად მიიჩნევა აღნიშნული ფაქტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) მიერ ცნობად მიღების მომენტიდან.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრი ვალდებულია იყოს საკრებულოს ერთი კომისიის შემადგენლობაში მაინც, გარდა საკრებულოს თავმჯდომარისა. საკრებულოს წევრი იმავდროულად შეიძლება იყოს საკრებულოს სხვა კომისიის შემადგენლობაში, მაგრამ ჯამში არაუმეტეს ორისა; ხოლო რეგლამენტის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ²“ ქვეპუნქტის თანახმად, საკრებულოს ბიურო უფლებამოსილია ცნობად მიიღოს საკრებულოს კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილებები.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაადგინეს, რომ დაცულია საკრებულოს ფრაქციის მიერ კომისიის შემადგენლობაში წევრის წარდგენის წესი და წარმოდგენილი ცვლილება შეესაბამება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებულ კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ასევე ერთხმად აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია საკითხთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნაზე, საკრებულოს ბიუროს დანართის სახით წარუდგენს, ზემოაღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალურ შემადგენლობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ ცნობის სახით მიღების მიზნით.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე		ნინო ვარდოსანიძე
სხდომის მდივანი		ნინო დანელიშვილი